



ხელშეკრულება N

საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. ზუგდიდი

10 ივლისი 2014წ.

ერთის მხრივ, *საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული არქივი* (შემდგომში „შემსრულებელი“), მდებარე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1, წარმოდგენილი ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს – ზუგდიდის ადგილობრივი არქივის დირექტორის, მილენა თორიას სახით და მეორე მხრივ, *ზუგდიდის მუნიციპალიტეტი* (შემდეგში „შემსყიდველი“) მდებარე: ქ. ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზ. №45, წარმოდგენილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან კონჯარიას სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად, შემსრულებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს და აანაზღაუროს შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოები.

1.2 შემსრულებლის მიერ 2006-2014 წლების საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური და მუშავება (საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს და „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №515 განკარგულების თანახმად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გაყოფისა და უფლებამოსილებათა შეწყვეტის გამო).

ა) დოკუმენტებისა და საქმეების მოწესრიგებისას შედგენილი გეგმის მიხედვით, განახორციელოს საქმეების სისტემატიზაცია წლების და სტრუქტურული ნაწილების მიხედვით;

ბ) დოკუმენტების სამეცნიერო და პრაქტიკული ექსპერტიზა;

გ) საქმის ფორმირება, საქმეში ფურცლების სისტემატიზაცია, საბუთების შედგენა, საქმეების შეკერვა და ფურცლების ნუმერაცია;

დ) ყდების გაფორმება, დამოწმებული ფურცლების ჩაწებება, შესანახ საქმეთა სისტემატიზაცია, საქმეებისა და დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფა და აქტის შედგენა.

ე) შემსრულებლის მიერ დაბეჭდილი ნაწერების შეჯერება, შენაკრავების განლაგება სათანადო წესის მიხედვით და სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება 6097,44 (ექვსი ათას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაოთხი თეთრი) ლარის ოდენობით.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული სავარაუდო ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული თანხის გათვალისწინებით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით, გადახდა უნდა მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორებით, ანგარიშგაქტურაზე ორივე მხარეს მიერ ხელმოწერიდან 5 დღის ვადაში.

3.2 გაანგარიშებისას გამოიყენება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №506 დადგენილება.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსრულებელი ვალდებულია:

განახორციელოს სამუშაოები სათანადო ხარისხითა და სრულიმცულობით ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

4.2 შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოთხოვოს შემსყიდველს გადაიხადოს შესრულებული სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლში მითითებული დათქმის შესაბამისად.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

გადაუხადოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა მე-2 და მე-3 მუხლში დათქმული პირობების შესაბამისად.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ნებისმიერ დროს გააკონტროლოს შემსრულებლის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება და ხარისხი.

5. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია:

- შესრულებული სამუშაოების დასახელება;
- შესრულებული სამუშაოების ღირებულება;
- შესრულებული სამუშაოების რაოდენობა;
- შესრულებული სამუშაოების შედეგები.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტს თან ერთვის შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები, დანართის სახით.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტს შეიძლება დაემატოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები ჩათვლიან მიზანშეწონილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ: წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არარიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს: ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

7.2 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება წინამდებარე ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან/და დამკვეთის პირობების გაუარესება, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული და თქმისა.

7.3 წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

8.1 მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) შემსრულებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ აღმოჩნდა, რომ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდას;

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არშესრულების ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

გ) წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში დამკვეთი ყოველი დაგვიანებული კვირისათვის შემსრულებელს უხდის პირგასამტეხლოსწინამდებარეხელშეკრულებისღირებულების 0,1%-ისოდენობით.

9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამკვეთს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

9.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სალიკვიდაციო კომისის თავმჯდომარე: – ედიშერ თოლორაია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი.

ეროვნული არქივის მხრიდან: ზუგდიდის ადგილობრივი არქივის დირექტორი, მილენა თორია.

10. დავის გადაწყვეტა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა ღონეს იხმარენ, ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ ურთიერთობის პერიოდში წამოჭრილი ნებისმიერი სახის დავა და უთანხმოება.

10.2 ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად და დგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულებისმოქმედებისვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 31 დეკემბრამდე.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან სამი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე კი შემსრულებელს.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„შემსრულებელი“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: **220391635**
იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზ. №45
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“-ს
სამეგრელოს რეგიონალური ფილიალი
ბანკის კოდი: **LBRTGE22**
ანგარიშის ნომერი: **GE12LB0120190181874000**

სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“-ს ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის ადგილობრივი არქივი
საიდენტიფიკაციო კოდი: **211358957**
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №1
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“-ს
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: **LBRTGE22**
ანგარიშის ნომერი: **GE03LB012116010532700**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“-ს ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის ადგილობრივი არქივის დირექტორი:



ხარჯთაღრიცხვა №1

(განკუთვნილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის)

ქ. ზუგდიდი

10 ივლისი 2014წ

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო - ზუგდიდის ადგილობრივი არქივის დირექტორი მილენა თორია (შემსრულებელი) და მეორეს მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ლევან კონჯარია (შემსყიდველი) ვაწერთ ხელს, მასზედ, რომ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილების თანახმად „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებულის საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ სამუშაოს ღირებულება შეადგენს:

N	N რიგზე	მომსახურების დასახელება	საზომი ერთეული	საფასური ლარებში + დღგ	თანხა ლარებში
1	2	3	4	5	6
1	1.4.2	საქმეთა სისტემატიზაცია ექსპერტიზის ჩატარებამდე $1200 \times 0.28 = 33,60$	10 შეს. ერთეული	0.28	33,60
2	1.6.1.1	ღირებულების ექსპერტიზა დოკუმენტების ფურცლობრივი გადათვალიერებით $1200 \times 0.83 = 996,00$	1 შეს. ერთეული	0.83	996,00
	1.11	სათაურების შედგენა $600 \times 0.99 = 594,00$	1 შეს. ერთეული	0,99	594,00
	1.15	არასწორად ფორმირებულ საქმეთა დაშლა, სამაგრების ამოღება $500 \times 0.115 = 57,50$	1 შეს. ერთეული	0,115	57,50
	1.16	საქმის შეკერვა $500 \times 0.35 = 175,00$	1 შეს. ერთეული	0.35	175,00
	1.17	საქმეში ფურცლების ნუმერაცია და ხელახალი გადანომრვა	100 შეს. ერთეული	0.745	149,00

		20000X0.745/100=149,00			
1.18	საქმის ყდის გაფორმება 600X0,168=100,80	1 შეს. ერთეული	0,168	100,80	
1.19	დამამოწმებელი ფურცლების შევსება და ჩაკერება 600X0,168/10=9,90	10 შეს. ერთეული	0,168	9,90	
1.21	საქმის ყდაზე საარქივო შიფრისა და შტამპის დასმა 600X 0,28=168,00	10 შეს. ერთეული	0,28	168,00	
1.23	იარლიყების შედგენა 60X0,18=10,80	1 შეს. ერთეული	0,18	10,80	
1.26	საქმის ანაწერების დაბეჭვდა 600X0,112=67,20	1 შეს. ერთეული	0,112	67,20	
1.27.2	ანაწერის წინასიტყვაობის შედგენა 1X27.14=27.14	1 წინასიტყვაობა	27,14	27,14	
1.29	ანაწერების გაფორმება 1X9.09=9.09	1 ანაწერი	9.09	9,09	
1.34	დოკუმენტების მოწესრიგების შესახებ აქტის შედგენა 1X10.27=10.27	1 აქტი	10,27	10,27	
1.31	აქტის შედგენა იმ საქმეებისა და დოკუმენტების განადგურების შესახებ, რომლებიც არ ექვემდებარებიან შენახვას 5 X0.30=1,50	5 პოზიცია	0,30	1,50	

სულ: 2,409.80

ზუგდიდის არქივის დირექტორი:



მთელა თორია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:



ლევან კონჯარია

ხარჯთაღრიცხვა №2

(განკუთვნილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის)

ქ. ზუგდიდი

10 ივლისი 2014წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო - ზუგდიდის ადგილობრივი არქივის დირექტორი მილენა თორია (შემსრულებელი) და მეორეს მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი საკრებულოს თავმჯდომარის ლევან კონჯარია (შემსყიდველი) ვაწერთ ხელს, მასზედ, რომ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილების თანახმად „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებულის საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ სამუშაოს ღირებულება შეადგენს:

N	N რიგზე	მომსახურების დასახელება	საზომი ერთეული	საფასური ლარებში +დღგ	თანხა ლარებში
1	2	3	4	5	6
1	1.4.2	საქმეთა სისტემატიზაცია ექსპერტიზის ჩატარებამდე $2000 \times 0.28 / 10 = 56,00$	10 შეს. ერთეული	0.28	56,00
2	1.6.1.1	ღირებულების ექსპერტიზა დოკუმენტების ფურცლობრივი გადათვალიერებით $2000 \times 0.83 = 1660,00$	1 შეს. ერთეული	0.83	1660,00
	1.11	სათაურების შედგენა $800 \times 0.99 = 792,00$	1 შეს. ერთეული	0,99	792,00
	1.15	არასწორად ფორმირებულ საქმეთა დაშლა, სამაგრების ამოღება $800 \times 0.115 = 92,00$	1 შეს. ერთეული	0,115	92,00
	1.16	საქმის შეკერვა $800 \times 0.35 = 280,00$	1 შეს. ერთეული	0.35	280,00
	1.17	საქმეში ფურცლების ნუმერაცია და ხელახალი გადანომრვა	100 შეს. ერთეული	0.745	223,50

		$30000 \times 0.745 / 100 = 223,50$			
1.18	საქმის ყდის გაფორმება	$800 \times 0,168 = 134,40$	1 შეს. ერთეული	0,168	134,40
1.19	დამამოწმებელი ფურცლების შევისება და ჩაკერება	$800 \times 0,168 / 10 = 13,44$	10 შეს. ერთეული	0,168	13,44
1.21	საქმის ყდაზე საარქივო შიფრისა და შტამპის დასმა	$800 \times 0,28 = 224,00$	10 შეს. ერთეული	0.28	224,00
1.23	იარლიყების შედგენა	$400 \times 0,168 = 67,20$	1 შეს. ერთეული	0,168	67,20
1.26	საქმის ანაწერების დაბეჭვდა	$800 \times 0,112 = 89,60$	1 შეს. ერთეული	0,112	89,60
1.27.2	ანაწერის წინასიტყვაობის შედგენა	$1 \times 27.14 = 27.14$	1 წინასიტყვაობა	27,14	27,14
1.29	ანაწერების გაფორმება	$1 \times 9.09 = 9.09$	1 ანაწერი	9.09	9,09
1.34	დოკუმენტების მოწესრიგების შესახებ აქტის შედგენა	$1 \times 10.27 = 10.27$	1 აქტი	10,27	10,27
1.31	აქტის შედგენა იმ საქმეებისა და დოკუმენტების განადგურების შესახებ, რომლებიც არ ექვემდებარებიან შენახვას	$30 \times 0.30 = 9,00$	5 პოზიცია	0,30	9,00

სულ: 3,687,64

ზუგდიდის არქივის დირექტორი:

მილენა თორია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

ლევან კონჯარია

